ნატო ბალახაძე:
სამართლიანი, კრეატიული, კარგი ლიდერი!

მონიკა ფირცხელანი:
მადლობის გარდა არაფერი მეთქმის გულნაზი მასწავლებელო, სამართლიანი და ბავშვების გვერდში მდგომი ხართ და იყავით ყოველთვის კარგი პედაგოგი და დირექტორი.

ბექა ფანგანი:
არ მეგულება ისეთი ადამიანი, რომელსაც თქვენზე გაუჭირდება კარგის დაწერა. თქვენ ხართ ღირსების ადამიანი, ყველას საიმედო პიროვნება. ვამაყობ თქვენით...მადლობა თქვენი ღვაწლისათვის. ჩემგან დიდი პატივისცემა თქვენ. თქვენ ბევრის გონებაში აანთეთ ცოდნის ლამპარი, თქვენივე კარგი მიდგომით და დიდი სიყვარულით. ამიტომაც უყვარხართ პატარაობიდან ყველას...მადლობა თქვენ.

დოდო კაკრიაშვილი:
გულნაზი მას თქვენ ჩემთვის მუდამ გამორჩეულად საყვარელი მასწავლებელი იყავით, ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი იმით, თუ როგორ ცდილობდით თქვენი თითოეული მოსწავლისთვის ცოდნა და საგნისადმი სიყვარული ჩაგენერგათ. პირველ რიგში მინდა გითხრათ, რომ უძლიერესი ქალი ხართ, რადგან ამხელა წარმატებას მიაღწიეთ ცხოვრებაში, ამდენი ადამიანის გულში ჩანერგეთ სიყვარული და პატივისცემა თქვენს მიმართ, ასევე ცოდნაც. როგორც დირექტორი ყოველთვის სამართლიანი იყავით და ვფიქრობ, სულ იქნებით კიდეც. არასდროს ყოფილხართ ვინმეს ან რამის მიმართ მიკერძოებული, ამიტომაც ხართ ისევ და ისევ ყველასთვის საყვარელი მასწავლებელიც და დირექტორიც. კიდევ უამრავ ბედნიერ წელს გისურვებთ ლემშვენიერას საჯარო სკოლის დირექტორის როლში. მიყვარხართ და გაფასებთ ყოველი დახარჯული წუთის გამო რაც ჩვენთვის გაგიმეტებიათ.

ლევან დადვანი:
საუკეთესო როგორც დირექტორი, ასევე მასწავლებელი!

თამუნია შუკვანი:
ყველასგან გამორჩეული, ნიჭიერი, მეგობრული, საუკეთესო დირექტორი. შენ პედაგოგიურ მოღვაწეობას ღირსეულად უფარდებ საზოგადოებრივ აქტივობას, ამიტომაც უყვარხარ ყველას! სწორედ შენნაირი პედაგოგები გვჭირდება დღეს....კვალიფიციური, მიზანდასახული და მოსწავლეებზე ორიენტირებული! უფალი იყოს შენი მფარველი სამაგალითო!!! დახვეწილი!!! კეთილშობლი და უაღრესად განათლებული ქალბატონი ყურადღებიანი დირექტორი. თბილი გარემო გაქვთ ნამდვილად, საუკეთესო კოლექტივი, სიყვარულს რომ გაგრძნობინებს ყველა. დიდი პატივისცემა და სიყვარული ჩემგან!!! წარმატებები და მადლიერება ყველგან და ყველაფერში.

თამუნა ჩარქსელიანი:
ჩემთვის რომ ძვირფასი ადამიანი ხართ სკოლის პერიოდიდან მოყოლებული, არ ვიცი როგორ გადმოვცე დიდ პატივს გცემთ და გაფასებთ სკოლაში ყოველთვის ვგრძნობდი თქვენს პროფესიონალურ დამოკიდებულებას საქმისადმი და სამართლიან, მეგობრულ და თბილ დამოკიდებულებას ბავშვებისადმი. ჩვენი ფიზიკის კონფერენციები დღემდე ისე თბილად მახსენდება და გულწრფელად ძალიან კარგი გამოცდილება იყო ჩემთვის. დიდი მადლობა იმ შესაძლებლობებისთვის რასაც სკოლის ეტაპზე მიქმნიდით, ყველანაირად ხელს მიწყობდით.

მეგი ფირცხელანი:
ჩემი ერთ-ერთი უსაყვარლესი მასწავლებელი! ყოველთვის, ყველგან მაგალითად მომყავს, თქვენი როგორც პედაგოგის მიდგომა ბავშვთან. მიუხედავად იმისა, რომ ურთულეს საგანს ასწავლით, თავს უფლებას ვერ ვაძლევდი, მოუმზადებელი მოვსულიყავი, რადგან თქვენ გჯეროდათ, რომ მე ვიცოდი გაკვეთილი და ამ ნდობის დაკარგვას ყველაფერი მერჩივნა. თქვენ ეტალონი იყავით ჩემთვის. დარწმუნებული ვარ, დირექტორიც საოცარი იქნებით!

თამუნა ხარძიანი:
საუკეთესოთა შორის საუკეთესო ყოველთვის განსაკუთრებული პედაგოგი, დირექტორი, მანდილოსანი და მეგობარი იყავით ....მისაბაძი ადამიანი. ძალიან მიყვარხართ.

ხათუ რატიანი:
როგორი მასწავლებელი იყო გულნაზი ჭელიძე? მხოლოდ ერთი სიტყვით დახასიათება რთულია, ეს ის შემთხვევაა, როცა სიტყვები ვერ მყოფნის. გულნაზი მასწავლებელი, ჩემი ფიზიკის მასწავლებელი, უფრო ადრე კი მათემატიკის და არამარტო ამ ორი საგნის არამედ ძალიან ბევრი კარგი თვისების და უნარის მასწავლებელი იყო. გულნაზი მასწავლებელია ის ადამიანი, რომელიც ახერხებდა და ყოველ ნათქვამ სიტყვას და ახსნილ გაკვეთილს ისე მიბეჭდავდა მეხსიერებაში რომ დღესაც 37 წლის ასაკში, ანუ სკოლის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ შემიძლია თვალდახუჭულმა ჩამოვარაკრაკო ბევრი წესი ფიზიკიდან, ისე თითქოს 20 წლის წინ კი არა აი ახლახანს ვისწავლე. ალბათ, იმიტომ რომ ეს არ ხდებოდა ძალდატანებით, პირიქით როცა მასწავლებელიც გიყვარს და საგანსაც გაყვარებს, მერე ყოველი მისი ახსნილი გაკვეთილი ჩვეულებრივ საინტერესო მოგზაურობასავითაა. მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი. თავისებური მეთოდები ჰქონდა გამოკითხვის, მის გაკვეთილზე ყველა ყურადღებით იყო, არ ჰქონდა მნიშვნელობა ყოჩაღი მოსწავლე იქნებოდა თუ ცოტა ზარმაცი. როგორ ახერხებდა ამას? გეტყვით, მოკლედ გამოგვიძახებდა მოვყვებოდით გაკვეთილს და მერე იწყებოდა, რაც იწყებოდა. აბა ბავშვებო დაუსვით კითხვები, თუ ვერ უპასუხებს თქვენს შეკითხვას თქვენ გაეცით სწორი პასუხიო. მოკლედ, ხომ იცით როგორ გვიყვარს ადამიანებს შეკითხვების დასმა და ეს ყველას მოსწონდა, ყოჩაღებსაც და ზარმაცუნებსაც, ამასობაში კი ყველა

აქტიურად იყო ჩართული გაკვეთილზე და შემდეგ ხდებოდა კარგი გემრიელი ნოყიერი შეფასება. უუჰ, თქვენ გამოცდებზე უნდა გენახათ ყველა ფორმაში ვიყავით. ასე თუ ისე და რა ამაყი და თვალებაცრემლებული იყო ხოლმე, როცა ყველა კითხვაზე კარგად ვუპასუხებდით. როცა მასწავლებელს მთელი გულით უყვარს მისი პროფესია და ბავშვები, სწორედ მაშინ აღწევს იმ შედეგს რასაც გულნაზი მასწავლებელმა მიაღწია ჩვენთან, ჩემთან და ძალიან ბევრთან. გულწრფელი გულშემატკივარი ადვილად იცნობა, გულნაზი მასწავლებელი კი ძალიან გულწრფელი იყო, მიუხედავად იმისა რომ, არამარტო უბრალოდ მასწავლებელი იყო, ის ჩვენთვის დირექტორიც იყო რაც კიდევ უფრო მეტ მოკრძალებას და შიშს აჩენს ბავშვებში, მაგრამ იგრძნობოდა თუ როგორ უნდოდა ჩვენი წარმატება, ხომ იცით, როცა ჩვენი სჯერათ ჩვენც ვიჯერებთ, რომ კარგები ვართ, ხოდა მიუხედავად იმისა რომ არანაირი შეხება არ მქონია ფიზიკასთან სკოლის მერე, სიტყვა ფიზიკის გაგონებაზე სულ სითბოთი მევსება
გული. ვიცი, შეიძლება ცოტა სასაცილოდ ჟღერდეს ფიზიკის რომანტიზება, მაგრამ ფიზიკა ძალიან მიყვარს და ეს გულნაზი ჭელიძის დამსახურებაა.

ხატია მარგველანი:
ქალბატონი გულნაზი ჭელიძე მასწავლებელი და დირექტორი: მკაცრი, სამართლიანი, აღმერთებს ჭკვიან, ნიჭიერ, მონდომებულ მოსწავლეებს. მაგალითად მე ვიზუთხავდი ფიზიკას, იმისთვის რომ მიყვარდა გულნაზი მასწავლებელი და მინდოდა ჩემი სიყვარული და პატივისცემა ასე გამომეხატა. მიუხედავად იმისა რომ, სკოლას არ ჰქონდა ფიზიკის კაბინეტი და არანაირი თვალსაჩინოება ცდებისთვის გვიყვარდა ფიზიკა. შემდეგ კოლეგა: ვფიქრობ, როგორც კოლეგაც ისეთივე სამართლიანი, მეგობრული და მომთხოვნია და ვფიქრობ, სწორედ მაშინ ჩაისახა ჩემში იგივე თვისებები. თქვენთან ურთიერთობა და გატარებული პერიოდი დიდი და სასარგებლო გაკვეთილი იყო ჩემი ცხოვრების იმ ეტაპზე.

რუსო თამლიანი:
ბავშვობის წლების ტკბილმოსაგონარი, სიკეთის მთესველი, კეთილი დამრიგებელი და ცხოვრების მასწავლებელი, რომლის შთაგონებები დღემდე მომყვება. დღეს, წლების შემდეგ, კიდევ მეტად ვაფასებ თითოეულ წამს, თქვენს ამაგს და მადლიერებით ვამბობ, რომ მართლა გამართლებაა, როცა ცხოვრების წილი ისეთი მასწავლებელია, როგორიც ქ-ნი გულნაზი ჭელიძე. ჩემი სკოლის დირექტორი და ის მასწავლებელი დღემდე, რომ სითბოდ, მოწიწებად და სიყვარულად მომყვება. არაფერს ვამბობ იმ სითბოზე, სიყვარულზე ჩვენს ოჯახში, რომ ტრიალებს თქვენს მიმართ. მამას საამაყო, მისაბაძი კოლეგა და ქალბატონი, რომლის ქებას დედას ვერასდროს ვასწრებთ. მიიღე ჩემგან, ჩვენი დიდი ოჯახისგან დიდი სიყვარული.

ანდრო ყაჭეიშვული:
მკაცრი და სამართლიანი, მეგობრული და გულისხმიერი. კარგი პედაგოგი და ხელმძღვანელი.

ნინო ჭეიშვული:
ნიჭიერი და თავდადებული, სამართლიანად მკაცრი, ბავშვივით გულჩვილი, საუკეთესო მეგობარი და მრჩეველი, ასეთია ჩემი გულნაზი მასწავლებელი.

ნატო ბალახაძე (ყოფილი თანამშრომელი):
სამართლიანი, კრეატიული, კარგი ლიდერი.

ბობი(ყოფილი თანამშრომელი):
გულნაზი? როგორც დირექტორი? - ადამიანი რა საქმიანობასაც არ უნდა ეწეოდეს, პატარას თუ დიდს, თუ ის ძლიერია და შეუპოვარი, თუნდაც იყოს მეეზოვე მაინც იტყვის თავის საქმით, თავის სათქმელს... დირექტორი მტკიცე ნაბიჯით, მკაცრი მზერით, პატარა ბავშვის გულით, დიდი იუმორით, სხვისი ნიჭის დანახვით, მუდმივად წინსწრაფვით, გამორჩეული...გულნაზი, შეყვარებულივით ველოდები ხოლმე შენს მესიჯებს, არა და, ძალიან იშვიათად ვმესიჯობ. ალბათ მიყვარხარ.

ბაბილინა: ბევრიც გამომრჩა, მაგრამ რა ეპიზოდებიც გამახსენდა, წინ ეს წამოვიდა.

ანა პირველი:

გულნაზი მასწავლებელო, ძალიან მიყვარდით, მიყვარხართ და გაფასებთ როგორც მასწავლებელს, დირექტორს და პირველ რიგში - ადამიანს . ყოველთვის სამართლიანი, როცა საჭირო იყო მკაცრი და ამავდროულად. თბილი და გამგები. პატივს გცემთ და ძალიან მიყვარხართ თქვენი კარგი ოჯახით.

გიორგი გიგანი:
პირველ რიგში, მოგესალმებით ქალბატონო, გულნაზი მასწავლებელო. მე გულახდილად ვსაუბრობ ყოველთვის ახლაც არ დავუშვებ გამონაკლისს, მით უმეტეს, როცა საქმე თქვენ გეხებათ. 12 წლის განმავლობაში, რაც მე თქვენს ხელში ვიზრდებოდი და ადამიანად ვყალიბდებოდი, თქვენგან სითბოს და სიყვარულის მეტი არაფერი არ მიგრძვნია. თქვენ შესანიშნავი მანდილოსანი, დედა და მასწავლებელი ბრძანდებით. ასევე პასუხისმგებელი ხართ ასეულობით ბავშვზე და მათ კეთილდღეობაზე. ნამდვილი ლიდერი და წინამძღოლი ხართ და ეს ყველაფერი თქვენში დევს. ძალიან მიყვარხართ. კიდევ ბევრი მაქვს სათქმელი მაგრამ პოემა გამოვა. 100-ქულიანი შეფასებიდან მე 100000 დაგიწერდით. უფალი გფარავდეთ.

ლელა კვანჭიანი:
ყველაზე ტკბილად მახსენდება ის დრო, რაც სკოლაში გავატარე, ძალიან ბევრი რამის თქმა მინდა, მაგრამ თავს ვერ ვუყრი ვერაფერს. საუკეთესო მმართველი, საუკეთესო დირექტორი, საუკეთესო პედაგოგი და საუკეთესო მეგობარი, ეს ოთხი მნიშვნელოვანი თვისება, რაც თქვენში უდაოდ თავმოყრილია, მიყვარხართ უზომოდ

და მიხარია ყველა თქვენი წარმატება. ბევრი სიმკაცრეც მახსოვს, მაგრამ მაგის გარეშე წარმოუდგენელია იყოთ ლიდერი და საუკეთესო. უამრავ წარმატებას გისურვებთ ჩემი უსაზღვრო პატივისცემა თქვენ. დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

თაზო კაკრიაშვილი:
გუზო.! მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ერთი სისხლი და ხორცი ვართ, როგორც ნათესავს არასდროს აღგიქვამდი. ყოველთვის როგორც პედაგოგის და სკოლის დირექტორის მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება მქონდა. როგორც აღმზრდელსა და ხელმძღვანელს ჩემი პიროვნების ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიგიძღვით, ასევე ჩემი პროფესიის განსაზღვრაში, თქვენი დამსახურება ძალიან დიდია. ის რომ მე დღეს ჩემი ქვეყნის სამსახურში ვდგავარ უშუალოდ თქვენი და თქვენი და თქვენნაირი ჭეშმარიტი პედაგოგების დამსახურებაა. მადლობა თქვენ. მიყვარხარ ძალიან თქვენ და თქვენი ოჯახი.

მარი ფილფანი:
გულნაზი მასწავლებელს ყველა ვიცნობთ, როგორც უდაო პროფესიონალს თავის საქმეში, სამაგალითოს და სამართლიანს. მკაცრ დირექტორს საოცრად კეთილი გულით! უდიდესი სიყვარულით და პატივისცემით, თქვენი მოსწავლე მარია ფილფანი.

მარიამ ჯაფარიძე:
აუცილებლად აღვნიშნავდი იმას, რომ ახსნის და გადმოცემის ძლიერი უნარი გაქვთ, კარგად ვიგებდი თქვენს ახსნილს. რაც შეეხება დირექტორობას, ვფიქრობ, თანამშრომლებზე მზრუნველი ხართ და ეს ძალიან დასაფასებელია.

გულო ნავერიანი(მშობელი):
თქვენ ხართ დიდებული ადამიანი, საოცარი დედა უნიკალური შვილი და დაიკო! დირექტორობა თქვენთვის არის კოლბა სადაც ჰაერი არ გყოფნით თავის დაღწევის ხერხიც იცით, მაგრამ მოვალეობას მეტ უპირატესობას ანიჭებთ ვიდრე შესაძლებლობას. მე სულ სხვა განზომილებაში გხედავ ეს არის მხატვრობა და პოეზია. უფრო დიდი ტრიბუნიდან. მინდა მესმოდეს გულნაზი ჭელიძე! თავისუფალი სულის მართვა იცით ე.ი ბრძენი ხართ. გვაქვს თქვენი რიდი, სიყვარული და პატივისცემა გამოცდა ჩაბარებული გაქვთ. თქვენი შესაძლებლობის მინიმუმია დირექტორობა.

მაიკო გაბულდანი:
ჩემო ძვირფასო და საყვარელო გულნაზი მასწავლებელო (თუმცა არამარტო მასწავლებელო) ძალიან მიყვარხართ და უდიდეს პატივს გცემთ, ნამდვილად, კარგად მახსოვს თქვენთან გატარებული ყოველი დღე და სულ ასე იქნება. მუდამ სამართლიანი, კეთილშობილი და საყვარელი ადამიანი იქნებით ჩემს თვალში და

ჩემს გულშიც... მინდა წარმატებები გისურვოთ ყველა თქვენს საქმეში. თქვენი საყვარელი ადამიანების კარგად ყოფნით გეხაროთ მთელი ცხოვრების მანძილზე.

სოფო პირველი:
გულნაზი მასწავლებელო, ჩემთვის ყოველთვის იყავით ძალიან საყვარელი მასწავლებელი (ყველაზე მეტად მაშინ მიყვარდით და ვგრძნობდი თქვენს ადამიანობას, როცა სხვადასხვა ღონისძიებებზე ემოციურ ლექსებსა თუ სიმღერებზე გულწრფელად მოგდიოდათ ცრემლები), ზომიერად მკაცრი, მაგრამ, ამავდროულად, სამართლიანი და მეგობრული დირექტორი. ძალიან მენატრება ის წლები და მიხარია, რომ ასეთი კარგი მასწავლებლების მოსწავლეობა მხვდა წილად. ახლანდელი გადმოსახედიდან, ეს ყველაფერი კიდევ უფრო მაღალ ხარისხშია და ახლა როგორც უკვე ზრდასრული ადამიანი გაფასებთ, ჩემს თვალში თქვენ ხართ საოცრად მიზანდასახული, მებრძოლი და ძალიან ძალიან ჭკვიანი ადამიანი. ამ ყველაფერს კი, რა თქმა უნდა, ამკობს ის, რომ უფალმა დაგაჯილდოვათ, როგორც საქმისადმი სიყვარულით, ასევე ადამიანების მიმართ სიყვარულის დიდი გრძნობით, მიყვარხართ ძალიან.

შოკა იოსელიანი:
22 წელი გავიდა... სუფთა ხმა... ანთებული თვალები, მუდამ ნოვატორი ერთგული და ძლიერი, ძალიან ძლიერი. ასეთი იყო სულ გულნაზი მასწავლებელი...როგორ მინდოდა რომ შევექე ხოლმე... მისი აზრი ძალიან მნიშვნელოვანი იყო. მადლობა თქვენ გულნაზი მას, იმისთვის რომ არსებობთ.

ლევან ავალიანი:
გულნაზი ჭელიძე, როგორც დირექტორი, ჩემი აზრით, იდეალური. თავისუფლება იყო სკოლაში და ბავშვების განვითარებისთვის ყველაზე კარგი გარემო. როგორც მასწავლებელი - ანალოგიურად. იგივე გარემო იყო გაკვეთილზეც. აზრის გამოხატვის არ გვერიდებოდა.

ეკა ქალდანი:
ჩემთვის სკოლა ისევ ისეთ ადგილად რჩება როგორც ბავშვობაში, სიამოვნებით გავივლიდი ხელახლა იმ წლებს თქვენთან ერთად, ჩვენს საყვარელ მშრომელ პედაგოგებთან ერთად! პირადად თქვენ ჩემთვის სამართლიანობის, გამჭრიახობის, სიყვარულის და ნამდვილი პედაგოგის მაგალითი ხართ .. თქვენი დანახვა ყოველთვის გულს ამიჩქარებდა ხოლმე, მაგრამ თქვენი ერთი შემოხედვა საკმარისი იყო, დასარწმუნებლად რომ ყოველთვის კარგად იყავით ჩემს მიმართ განწყობილი. ყოფილა რაღაც არასწორი გაგვიკეთებია, თუმცა თქვენი რჩევით, ყოველთვის სწორ მიმართულებას გვაძლევდით ყველაფერში ... თქვენი გაკვეთილები და ყოველი ახსნილი თემა თითქოს ჩაიბეჭდა ჩემს მეხსიერებაში ... დიდხანს სიცოცხლეს გისურვებთ თქვენს ოჯახთან ერთად!

აკაკი კვიციანი:
ყველაფერი საუკეთესო მახსენდება ხოლმე, თუნდაც ფიზიკის კონფერენციები, ყველაზე მეტად ვმოტივირდებოდით ამ პერიოდებში და პროექტებში მონაწილეობაც აქედან შემიყვარდა. ბევრ მსგავს საკითხში მიგიძღვით წვლილი და მადლობა. ამასთან ერთად, ფიზიკა ისე შემიყვარდა მაშინ, რომ სპეციალურად ვყიდულობდი წიგნაკებს კონსპექტებისთვის.

გიორგი შუკვანი:
გულნაზი მას, ახლა ამ გადმოსახედიდან, ძალიან ბევრ რამეს შევცვლიდი სწავლის პერიოდში: ხშირად, ცოდნაზე ორიენტირის დასმას, ადამიანობის სწავლას და მეტ ბავშვობას. თქვენ უდაოდ გესმოდათ ჩემი, როგორც ერთი რიგითი მოსწავლის, ყოველთვის მემახსოვრება დამოკიდებულება, მეგობრული, თბილი და ემოციურად სწორი ჩემდამი გამოხატული. ფიზიკა შესაძლოა გამორჩეულად არ მახსოვდეს, მაგრამ იმდენად კარგად მახსოვს, რომ ყოველთვის მიხაროდა თქვენი გაკვეთილები, მახსოვს, პირველად, როცა ჩვენს კლასში ფიზიკის ჩასატარებლად შემოხვედით, გვთხოვეთ დაგვეწერა თუ რას ველოდით ამ გაკვეთილისგან და სურვილები რა გვქონდა. კი ჩვეული განვითარების ერაა, მაგრამ მოსწავლის ინტერესის გათვალისწინება და ემოციურად ახლოს ყოფნა მათთან ყველა მასწავლებლის ფორმულა არაა, თუმცა ჩემი ღრმა რწმენით თქვენი ნამდვილად იყო. მადლობელი ვიქნები ყოველთვის და ვეცდები იმდენი დადებითი მაინც გავაკეთო სხვების ცხოვრებისთვის, რომ ჩემდამი ღირსეული და ღირებული სიამაყით განიმსჭვალოთ. ბედნიერებას გისურვებთ მას, ყველგან და ყოველთვის, ჩემის აზრით, ეს „ჯანმრთელობაზე“ მეტად სჭირდებათ ადამიანებს.

ლელა ხარძიანი:
ჩემთვის იყავით უაღრესად კეთილი, თბილი, მეგობრული და ამავდროულად, მკაცრიც, მაგრამ ყველა წელი რაც მე თქვენ გვერდით გავატარე მიყვარს ვაფასებ და მეამაყება. მიყვარხართ...

რუსო გიგანი:
თქვენ ხართ თქვენი საქმის პროფესიონალი.

ლევან დადვანი:
საუკეთესო როგორც დირექტორი, ასევე მასწავლებელი.

ნანიკო ფილფანი:
ძალიან გაცვეთილი ფრაზით დავიწყებ - „სჯობს გვიან, ვიდრე - არასდროს“. დაგვიანების მიზეზი შეიძლება იყოს ის, რომ ორ წინადადებაზე ცოტა მეტის დაწერა მინდოდა, ან ფეისბუქის სქროლვისადმი ჩემი მიზიდულობის იდიოტური კანონის მოშველიებაც შეიძლება. გადავახვევ ახლა ჩემს ცხოვრებას უკან -სკოლისკენ და მიხარია, რომ ამას მაინც ვახერხებ, მაგალითად, ტექნიკა - ტელევიზორზე უკეთ.

სკოლის შენობა უშველებელი, ბავშვი უამრავი, პარალელი ერთი, კლასელი 23, მასწავლებლები ათზე მეტი. საბავშვო ევროვიზიის წლევანდელი კონკურსანტის არ იყოს, ვთვალე, ვთვალე, ვთვალე... ღიმილები დავთვალე თანაკლასელების, დაბალკლასელების, მაღალკლასელების, აი ზარის ხმის მერე დერეფანში ნაბიჯები ვერ დავთვალე, რადგან წესები აქ ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო, მათი დარღვევისთვის არგუმენტირებული მიზეზის მოძებნა არც ისე იოლი, მით უმეტეს თუ გაბრაზებული დირექტორის მზერის პირისპირ გიწევდა ამაზე ფიქრი, თვითირონია, იუმორი, ან მაღალი ღმერთი თუ გიშველიდა. სიმკაცრეზე გოგოებს, რა თქმა უნდა, დრესკოდი გვახსენდება, რისი წყალობითაც შავ-თეთრი ტელევიზორებივით დავდიოდით სკოლაში, ყველაზე მეტად სწორედ ამას ვაპროტესტებდით, მაგრამ მაინც ვერ გადაგიყვარეთ. აქვე, ამ „გამწარებული“ გოგოების თვალით დანახულ თქვენს იმიჯზეც ვიტყვი: ტუჩსაცხები (მაშინ პომადებს ვეძახდით), კაბები, პიჯაკები, ჩანთები...ისე გვქონდა დამახსოვრებული - სულ ზედმიწევნით. გქონდათ თქვენი სტილი, ცოტა მკაცრი, თუმცა ამავე დროს ქალური ესთეტიურად სწორად შერჩეული დეტალებით, სიარულის მანერა, საუბარი, ნამდვილად იყო თქვენი პიროვნების კიდევ ერთი გამოხატვის ფორმა. მე, რომელიც, რომელიღაც გაურკვეველი კანონის ნებით ვთვლიდი, რომ ჰუმანიტარული საგნები უკეთ გამომდიოდა და მათემატიკის დავალების დაწერის დროს ძალადობის მსხვერპლი ვიყავი (აქვე დავსძენ, რომ ძალადობას არც მაკლებდნენ ქალბატონი ფილფანი და ბატონი ავალიანი ერთი თვლიდა, რომ მოგვარეობის გამო მკაცრად უნდა მომქცეოდა, მეორე ნიჭი გაქვს და რანაირად იქცევიო) აღმოჩნდა, რომ სულაც არ მწყინდა ფიზიკის გაკვეთილის მოახლოება, პირიქით! სრულებით ვარ დარწმუნებული რომ სწორედ თქვენი სწორად მოტანილი, შთამბეჭდავად, თუმცა ამავდროულად ძალიან გასაგები სიტყვებით და მაგალითებით მოწოდებული გაკვეთილები იყო ამის მიზეზი, ყველა გისმენდათ: უკანა მერხზე მჯდომი, ჩემპიონთა ლიგის ყურებაში ღამენათევი ბავშვი რომ მეგობარს რეალის შთამბეჭდავ თამაშზე უყვება და ამ დროს ისეთ სიტუაციურ ხუმრობას გადასძახებთ, რომ 2 წუთში ატომზე ილაპარაკებს - ეს არის უნარი, მიდგომა, გაკვეთილი, ინდივიდუალიზმი და ყველაფერი! მიყვარხართ! თქვენი ფიზიკით, სკოლით, ხასიათით, იუმორით, ნიჭით, შეხედულებებით და მიდგომებით! მთვრალი კაცის სადღეგრძელოსავით გამიგრძელდა და თუ არ შევწყვიტე 11 წელიწადს მოვყვები .

ფიქრია თამლიანი:

ქალბატონო გულნაზი! მინდა დიდი პატივისცემით მოგიკითხოთ და ჩემი თქვენდამი მოწიწება და სიყვარული კიდევ ერთხელ გამოვხატო! მიხარია, რომ დღევანდელ ახალგაზრდობას თქვენისთანა ადამიანებთან უწევთ ურთიერთობა, ეს უდიდესი მადლი და ის დასაწყისია, მთელი ცხოვრება გზამკვლევად და საუკუნო საგზლად რომ მიჰყვება თითოეულს!მინდა, მშვიდობა, დღეგრძელობა, ჯანმრთელობა და სიხარული გისურვოთ იმ მადლიან და ღვთიურ გზაზე, ჩვენი მომავლის აღზრდა, გზის გაკვალვა რომ ჰქვია! არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი დიდი ოჯახის თითოეული წევრის დიდი პატივისცემა თქვენი და თქვენი საქმიანობისადმი;

ამაზე ხშირად ვსაუბრობთ და არაერთხელ აღგვინიშნავს, რომ მართლა საოცარი ადამიანი, ხელმძღვანელი, კოლეგა და მასწავლებელი ხართ, იხარეთ! კვლავაც მრავალი ჩვეული წარმატება თქვენ, თქვენს კოლექტივსა და აღსაზრდელებს, ჩვენი ქვეყნისა და მომავლის საკეთილდღეოდ!

ქეთი იოსელიანი:
ჩვენ გვინდა გამოვხატოთ ჩვენი ღრმა მადლიერება. გმადლობთ, მუშაობისთვის, თითოეული ბავშვისადმი უნიკალური მიდგომისთვის. გიგანტური მოთმინებისა და პასუხისმგებლობისთვის. გისურვებთ, ჯანმრთელობას წინსვლას და კეთილდღეობას.

ნინო მჭედლიანი:
თქვენთან ურთიერთობის დასაწყისში ისეთი პატივისცემის და სიყვარულის უხილავი ძაფი იბმება … რომ მთელი ცხოვრება მომყვება.

ინგა ავალიანი:
საოცარი გრძნობაა, როცა ამდენ სიყვარულს და სითბოს მიიღებ, მზის სხივივით უნდა შეიჭრა მოსწავლეთა გულებში რომ მათში მადლიერების გრძნობა ამხელა საფეხურზე აიყვანო, ამაზე დიდი გრძნობა ხომ უზენაესს ჯერ ადამიანისთვის არც კი მიუნიჭებია. ლამაზია პროფესია, როცა ბავშვებს რომელიმე საგანს ასწავლი,მაგრამ ასწავლო ასეთი სიყვარული და მადლიერება, აანთო სანთელი თითოეულის გულში ეგ უკვე ტალანტია, მეც ვსწავლობდი ლემშვენიერას სკოლაში სულ რაღაც სამი ან ოთხი თვე და ახლაც თვალწინ მიდგას ძალიან ახალგაზრდა მასწავლებელი (თავიდან ახალი მოსწავლე მეგონა) და ასხივებდა საოცარ სიყვარულს და ენერგიას რომელიც განსაკუთრებულს და გამორჩეულს ხდიდა მუდამ. ასე გეკაშკაშოს და გემკოს სიყვარულის და შრომის ნაყოფი.